



12 582



კოკ. გოგოლი (ან ნოქარი): — უმალურსი.. კოოპერატივის მთელი სიმძიმე შე გადამაქვს, და კიდევ მისაყვედურებენ!

# ლია წერილი

## მუშაკობის მომარაგების განყოფილებას

ძვირფასის უძვირფასესო ძმაო და ბიძიავ, ნათლიავ და მონათლული ტფილისის მუშაკობის მომარაგების განყოფილება! (რალაც ისე მახსოვს, ასეთი სახელ უნდა გქვიოდეს).

ვიღებთ კალამს და გიძღვნით სალამს ხელის ჩამორთმევით ((თუ შემოგვიშვი კაბინეტში) და ერთი ამბით.

გეფიცებით მწვანის დუქნების წინ ჩამწკრივებულ როგებს, მეტად მოგვანატრე თავი, მაგრამ უორდეროთ შეუძლებელია შენი ნახვა და ორდერის მიღებას თავის დროზე ვერ ველორსეთ, ახლა ქე გაუქმდა და რალაი!

ჩვენს ამბავს თუ იკითხავ, ვართ, როგორც ბრივადის წევრებს შეეფერება. ვიკვლევთ, თავს ვესხმით და ვიბრძვით, რაც გაეწყობა.

მართლა, თქვენ რომ დახურული განმანაწილებელი გახსენით ჩვენს ქარხანასთან, კაცო ხორცი მოიტანეთ შიგ, ან რამე სანაფავე დადეთ, თორემ სირცხვილია, ღამე რომ ვინმე გასაქურდათ შევიდეს, ხომ მოგვეჭრა თავი, ტარანის კულს ვერ იპოვის შიგ!

მეორე განმანაწილებელში ხორცი კი მოგაქვთ, მაგრამ ხარისხით მაინცა და მაინც არ უნდა იყოს სახეირო! რამდენი თვეა გემუდარებით, სასადილო გაგვიხსენი თქვა და რა გაუთავებელი ვახდა ამ სასადილოს მოწყობა!

სხვა, ძია-შვილო, ჩვენ მაშინ პატარები ვიყავით, მენ რომ ბამბახის აფანსი გამოგვართვი და სადა ან

ფული, ან ბამბახია? ცოტა გულმავიწყი ხარ და არ წავარჩეს, თორემ ქალები სახლში აღარ გვიშვებენ.

ამას გარდა, კარტოფილის და ხახვის ფული რომ გამოგვართვი, როგორ იქნება თუ იცი მიღების საქმე? თუ გვაქამევ, გვაქამე, თორემ ამდენ ლოდინში დაიკარგა მადა.

კაცო, შეშას რომ გვპირდებოდი და ერთი კვირა გავატარე დიდუბეში, უმუშევრები, ხომ არ გგონივართ? ჩენ საქმე გვაქვს და თუ გვაძლევ, მოგვეცი ის შკა. გააუბხულზე რალათ ვდინდა!

სხვა, როგორაა წარმოება: სკენ პირით მიბრუნების საქმე, ცხელი საუზმე ზოგს აქვს, ზოგს არა, სკოლებში ბავშვი გაგვსაენეთ და აქმევთ თუ იცი რამეს?

მოკითხვა დაწინაურებულ მუშებს, თუ გყავს ასეთები. უღრმესი სალამი აგრეთვე სარძეო განყოფილებას და გადაეცი, რომ რძის სმას სულ ნუ გადაგვანევებს, თორემ მერე ხელახლა მიჩვევა ძნელია კუქისათვის.

კინლამ დაგვაფიწყდა: სოღანულღში საგარეუბნო მეურნეობისათვის ძროხები რომ შეიძინეთ, ცოტა თივა და ქერი აქამეთ და ბინა გაუკეთეთ, თორემ იმათი ამბავი რომ ვიცით, ადგებიან და ემიგრაციაში წავლინ საიქიოს და მერე წველა ძნელი იქნება.

ერთი სიტყვით, აბა თქვენ იცით.

გწერს შენი ბრივადა.

დედანთან სწორია: ალღარ-ალღარსანი.

## სტუდენტის წერილი დედას

ამხანაგო და ძვირფასო ნენავ, უპირველესად გკოცნი ტუჩებში. ვიცი დაგრიება შენ ეს საწყენად ღამეს, რომ ვათეფ საღდაც ქუჩებში.

ენა ვერ იტყვის, ნენა, იმას, რაც თავზე გადამხდა დავიდარაბა. რაც აქ ჩამოველ ვატეხილი მაქვს დაახლოვებით შეიდი დარაბა.

მარა არც ერთში არ დამაყენეს, გამომასახლეს ლანძღვა-გინებით. (წელს რალაი და გაისათ მეონი უზრუნველგეყოფენ ახალ ბინებით).

ლექციებს თითქმის ყველას ვესწრები, მაგრამ არ გეყოფნის ყველას ადგილი. სკამის შოენაზე ჩხუბია დიდი (სკამის შოენაა არა ადგილი).


ეხლა კი ჩემო, ძვირფასო ნენა, თუ ჩემზე ცოტა შეგტყივა გული მაგი წერილი, როცა მიიღო, აუცილებლად მაწვდინე ფული.

აქეთ ყველაფრის სიძვირე არის (მანეთი არის შორცია ხაში) ხალხის მრცხენია, რა უთხრა, თეირა აუცილებლად წამოველ სახლში.

პირდაპირ ჩემი სული ტრიალებს ცხელ-ცხელ მქადებში და კიქვ ფხალშია. ნენა სირცხვილი არ მაქამო და აგი ამბავი არ სთქვა ხალხშია.

მარტინსა.

## „მ ა კ უ ლ ა ტ უ რ ა“



— ყოჩაღ! ქალაღლის რამდენი მაკულატურა შეუგროვებია დირექციას! აღბად შეეღიბრშია გამოწვეული?!  
— ეს მაკულატურა კი არა, მიმოწერაა ხრეხილში წყლის გაყვანის შესახებ.


(ა. ჯავში).

# შეშა. სათბურის გულია. სამთრისგან დახაზულია 3

თანამედროვე გალადა, თავისავ შესაბრაღაღა

რომ სამთარის მოვა  
სიცივე და გლოვა,  
თქმა არ უნდა ამას.  
ვაი, ისეთ ჭამას,  
თუ ბუხარში სამთარის  
ცივა და შიგ არ კრთის  
ციცხლი — ნაპერწყალი!  
სიცივით კანკალი  
გავიჯღღებდა ტანში,  
შეწექ თუნდ საბანში,  
წაისურე ქეჩია,  
იწყე შხრების ჩეჩა,  
მოიკუნტე ზღარბით  
და ისუნთქე ქარბათ,  
მინც ვერ გიშველის  
ეგ შეწყობა ხელის  
და აქ შენი მსხნელი  
თუა, შეშა ხმელი!  
შეშა! მაგრამ შეშა  
შენ ვინ გიფეშქეშა?  
სატყეო ტრესტო შენთვის  
არ სცალია, ლტოლოვის  
დიდ-დიდ ორგანოებს:  
ის შეშა, უგროვებს  
ათ და ას საყნობით  
და მას თბილი გრძნობით  
დიდ ორგანოთ უთობს:  
კაბინეტებს უთობს  
„ზავებს“ და „ზამზავებს“...  
შენ ვინ მოგაქევეებს  
შეშას ცალ ღერს, თუნდაც  
ბელში გქონდეს ხურდაც?  
სჯობს ააღო ხელი,  
თუ ქეუა გაქეს მრთელი!  
არა და, ჰე, სცადე,  
თუ დაუგო ბადე  
რომელიმე საწყობს!  
ტკბილ-იმედი გატკბობს,  
გული რომ ვთქვამს, სცადო:  
— „აბა, სინდიკატო,  
ტრესტო, გამგეც მისო,  
თუ რომ ისინდისო  
და საყენი შეშეშა  
წელს დამითმო მეცა?!“..  
„ზავი“ შენი დოსტი  
არის, შენ რომ მოსწედი,  
და ცხადია, ქალაღს  
ის დაგიწერს რა ნაღღს,  
საწყობს მიაკითხავ,  
იქ არ დაპყოფ დიდხანს  
და მიიღებ ნატრულს,  
შეშას, სათბობს სამთრულს;  
მით დატვირთავ დროგებს;  
დროგეც მოაგოგებს  
შეშას შენს ბინაში...  
ხომ არ დასტოვს გზაში...

გისარია, რალა...  
და პანელზე წაღა  
შენი მირიხინებ:  
გული იტევეს ლხინებს...  
გული ტკბილად ტოკავს,  
ფეხი რომ გზას თოკავს...  
„ზავთან“ კარაც მალე,  
ჰა, შეაჭრიაღე...  
მიგიღო თავაზია,  
პარტ-თუ-საბჭოს ხაზით,  
და ბრძანება სხარტად  
ხელში მოგვა მარდაღ;  
და ჰფიქრობ. რომ ის ქეას  
გახეთქს და კლდეს მოსძრავს,  
მარტო გამოჩინით!..  
საწყობისკენც ფრენით,  
გულს ამ რწმენით, მიჰჭრი  
გზის წინ ქედს არ ისრია...  
მაგრამ, აი, მიდი,  
და ვით მიამიტი,  
სქერტ საწყობის გამგეს,  
თან ქალაღს, რომ არღვენ...  
— რრრრრრრ... შეშა ვინდა?!  
იგი დრო გაფრინდა,  
საწყობით რომ დღემდი  
შეშებს ვარდებდი!..  
აწ რა უნდა გიყო?  
აი, რას აგწერს გიგო:  
„საწყობიდან შეშას  
ღერს ნუ გასცემ ერთსაც!“.  
წადი, მიაკითხე...  
ამბობს და სღვას, ვით ხე,



## ღ ი ნ ი



— რამდენი უნდა ვიარო, მამი-  
ლო, აგრე დავღუჯილი და თმა გაუ-  
კრეჭავი?  
— დაიცა, შეიღო, ხვალემდი;  
წმენდა მოჩრება და ისევე გამოგაწყობ.  
(„ლენტო“).

ვით ქეა, როგორც საღი,  
ვით მთა, მიუვალი...  
ემ რაც იყო, იყო,  
მეც მოენახე გიგო.  
სჩანს ის საქმის ბიჭად:  
ჯგერ შეიკრა კრიჭა  
და კვლავ მიმითთა  
ივანეზე, ზიდთან...  
თუმც ამ ზიდთან შენა  
გხვდა ათჯგერ გარბენა,  
მაგრამ მეფერთმეტედ  
მინც მოეხეტე  
და იმ ივანესაც,  
როგორც იყო წესად,  
მოახსენე ქმენით  
განაქირი შენი...  
ივანე გიბრძანა:  
„ნახე ალმასხანა!“.  
ალმასხანა — ნიკო,  
ნიკომ გითბრა სიკო,  
სიკომ სილევანზე  
მივითთა განზე...  
სილევანმა ბოლოს  
დაგობრუნა სოლოს,  
ანუ იმავ „ზავსა“,  
ვინც სჩანს ლექსის თავსა,  
სიღანც ის ქალაღდი  
მე წავუღღ, ნაღღი,  
საწყობის გამგესა  
პირეულსავე დღესა,  
სითყენ ახლაც მიეჭრი,  
გულს რომ გამკრავს ფიქრი:  
„ვაი, თუ რომ ასე  
ეს გზა კვლავც მოვხაზვა  
გიგო-ვანო-ალმასხანა,  
ნიკო-სიკო-სილევანა...  
ამ დრომ ზომ დავივიანა,  
თუ სამთარმაც არ მინანა  
ეგი ჩემი ლაღათ ბტუნვა  
იქიღაქეთ გზაში ბრუნვა?  
და ამ გზას რომ, ვსთქვათ, ვა-  
დავრჩე,  
სჩანს, უშეშით უნდა დავრჩე...  
მაგრამ სოლომ იპრიანა  
და სიმონთან გამავზავანა.  
მან მიღო შეშის ფარა  
და ორდერიც ჩამაბარა!..  
აწ ორდერით ხელში მიეჭრი  
და თან მახრობს მწარე ფიქრი...  
„ვაპ, უსაქმით კვლავ თუ ზიან  
და მიციღან... და იციღან:  
გიგო-ვანო — ალმასხანა...  
ნიკო — სიკო — სილევანა...  
ეპ, აფსუსია არის, ვანა,  
რბილ საეარძლის მათგან უხანაჰ!  
მაზირა“.

(ზიათურა)



ინდი-ბინდი ფერად შინდი...  
კუშკოვკაში შემოვფრინდი...  
ბაზრისაკენ გადავფრინდი...  
მოვადღულე შაქრით შინდი.

სხვის კუჭის დაპურებას  
იღვივალ იტყვის ენაო.  
სურსათი ყველას რომ მოგვცეთ,—  
რა გვეშველება ჩვენაო!  
იმდენს ვმუშაობთ, სამივეს  
ავიტყდა გულის ქშენაო.  
მანკ გვემდურის ეს ხალხი,  
არ მოგვიშალეს ღრენაო.  
გაზეთში გვეწერენ, ჰყვირიან,  
წაიღეს ყურთა სმენაო.  
ყოველ-დღე: შიში, მუქარა,  
არ იქნა ჩვენი ღებენაო.  
არ ვზომავთ, თუ რამ ვიშოვეთ.  
რომ გიწილადით თქვენაო,  
ვფიცავ ვანიჩკას ყიფშიძეს  
არ ვინდა ხალხის წყენაო.  
თუ ცხვარი გვექნა—გავიყოთ:  
ხორცი—ჩვენ, ტყავი—თქვენაო.  
და როს დათეს დავკლავთ, მაშინ კი  
ხორცი—თქვენ, ტყავი—ჩვენაო.  
დათვის ვიჩინა დავთმევით,  
რომ არ დაგეწყით კბენაო;  
ჩვენ ცხვრით წავედით იოლათ,  
„შიშკა“ მოგეცით თქვენაო.  
ამისა შემდგომ, მითხარათ,  
რა საქორთა ღრენაო.  
არა ვართ გლახა ბიჭები...  
(ისეც მიკეცათ ღებენაო .

გოგია.

### ქრისტეშორის გასაჭირი


ო ზ უ რ გ ე თ ი

ყოფილ მღვდლებსა და ვაჭრებზე შეფობა „ეპო“-ს  
შქონდა აღებული. უნდა ითქვას სმართლედ, რომ „ეპო“  
ყარგად ატარებდა საშფოო მუშაობას: მთელს რაიონში  
არ იყო დარჩენილი არც ერთი ხუცესი და ვაჭარი (ყო-  
ფილი, რასაკვირველია), რომ „ეპოს“ არ შეეფაროს თა-  
ვისი ფრთების ქვეშ. „ეპოში“ ეს ყოფილი ხალხი იმდენი  
რაოდენობით იყო, რომ დააკმაყოფილებდა შოფილო  
ბაზრის მოთხოვნილებას. გადაწყვეტილიც იყო ექსპორ-  
ტის გატანა, რომ ამ დროს დაიწყო „ეპო“-ს წმენდა.

აქ საქმე უკუღმა დატრიალდა.  
წმენდამ დაფერთხა „ეპო“-დან ყოფილი ვაჭარები და  
მღვდლები. ექსპორტის საქმე ჩაიშალა.  
მგვრამ ამ ბოლო ხანებში მდგომარეობა ისევე შეიც-  
ვალა: გაწმენდილები ახერხებენ (რასაკვირველია, „ბე-  
ზებებისა“ და „მფართველ ანგელოზების“ შემწეობით)  
სამსახურში იღვვენას.  
ლღეს „ეპო“-ს სავაჭროებს ისევე ამშვენებენ „გაწმენდი-  
ლები“.  
ამას წინად „ეპო“-ს თავმჯდომარე ქრისტეფორეს-  
თან ასეთი ლაპარაკი შქონდა თქვენს თანამშრომელს:  
— რატო ნაკლებია ფული „ეპო“-ს საღალოში?  
— რა ექნათ, ჩხო კარგო, მოგვადგენ ეს გაწმენდი-  
ლები და ამდენი ხნის ნაცდური ვაინადღეს.

— ეს როგორ?!  
— როგორ და, ვილაცხების დახმარებით თავი აღიდ-  
გინეს; ამდენხანს დაისვენე და ესლა ტყავი გავვაძვირეს.  
— მაშ კიდევ უნდა ჩაატაროთ წმენდა?  
— ამან შაირისაგან, როცა ჩავატარეთ, ნეტავი  
მაშინაც არ ჩაგვეტარებია. ამდენი ნაცდურისა, აღ-  
დგენისა, შემცივებისა და სხვა ხლავორთის ფული შეგ-  
ვრჩებოდა.  
— გაქვთ თუ არა რამე საწყობში?  
— ამისი რა მოგახსენოთ. თუ საწყობის გაგმე კონ-  
ტრიქემ უკვე ყოველმხრივ მოამარაგა თავისინები და  
მა - ბიჭები, აღბად იქნება რამე.  
— კი, მგვრამ საქონელი ზომ სავაჭროებში უნდა  
იყოს!  
— ღიახ, უნდა იყოს, მაგარმ ის საწყობშივე ანაწი-  
ლებს. რა ვქნა! ბევრჯერ გავაფრთხილე, მაგარმ მაინც  
არაფერი გამოვიდა.  
— ეხლა ის მითხაროთ...  
— უცაცრავად, გამოწერილი საქონელი მივიღეთ  
პულრი და ღუბები და მისაღებთ მიმეჩქარება სადღურ-  
ში!—უთხრა თქვენ თანამშრომელს ქრისტეფორემ,  
გამოემშვიდობა და სადღურისაკენ გაიქცა.

ყლაპაძე.



მღლარამ: — დამეხსენით! მომშორდით  
თარი-თურა! თარალო!  
ჩემი გული ზანიატ —  
ზანიატ ჩემი სალარო!

### ჩ ე მ ი მ ო გ ზ ა უ რ ო ზ ა

შავი ზღვის განაპირა ქალაქების სანახავად გავემ-  
გზავრე, და ოდესაში ამოვყავი თავი.

ერთი კვირა დავრჩი ამ ქალაქში და ჩემი ხათრისა-  
თვის იყო, თუ ყოველთვის ასეა, ბაღებში რადიოს უკრა-  
ვდენ. თურმე არ იკითხავთ საიდან ღებულობენ, ტფი-  
ლისიდან, ბაქოდან და მგონია არზრუმიდანაც.

— ეს ალბად ჩემ პატივსაცემად არის! — იუთხარი  
ერთ იქაურ მეგობარს.

— რატომ გგონიათ! თქვენ არაფერ შუაში ხართ.  
უკანასკნელები აღმოსავლეთის მუსიკის მოყვარული ხა-  
ლხია, მეტადრე ქართულის, და იმიტომაა, რომ უფრო  
ხშირად ტფილისთან აქვთ კავშირი. ქართული კონცე-  
რტი მართლა მოსაწონია; აი მოუსმინეთ ქართველებს,  
მეტადრე ქალებს, რა ძვირფასი ხმები აქვთ! — სთქვა  
და სმენად გადაიქცა.

„ტაო ჩემო, ბერი არ გიცერია“ — ისმოდა რადიოში.  
ამის შემდეგ რადიოში გაისმა ბოხი ხმა: — ეხლა

იმღერებს რევოლუციონურ სიმღერას მომღერალი ბა-  
ბინოვი!

რადიოში „არსენა ჯორჯიაშვილის“ სიმღერა მო-  
ისმა:

„მე ვარ არსენა ჩოჩიაშვილი“..

— რა რევოლუციონური სიმღერაა ეს? შემეკითხა  
მესაუბრე.

— ეს 1905 წელში ჯალათების მიერ მოკლულ რე-  
ვოლუციონერზე ხალხის მიერ შეთხზული სიმღერაა! —  
გუპასუხე მე.

რადიოში ისევ გაისმა ნაცნობი ბოხი ხმა:

— იმღერებს ცნობილი მომღერალი არბეტოვა ქარ-  
თულ რომანსს, — და ამღერდა რადიო:

„რომ არ მცკალობ ცოდვა არ ვარ,  
რომ არ ვალობ არ გიკვარვარ“.

უხერხულობა ვიგრძენი. თავის ტკივილი მოვიმიხე-  
ზე და ნაცნობს გამოვემშვიდობე.

კ. ოაოლი.

თავი მხვილობით

ფილოსოფიური არის უფრო მეტი

„ლაბადება“, ანუ „ბიბლიაზე“ მღვდლებს ბევრი უთქვამთ. ვინ იცის რამდენი ის თქვენთვის უქიათ! მათი ნათქვამი ყველაფერი სწორი გგონიათ, თუმც ერთი სიტყვა სიმართლე არ გაგგონიათ!

შემოსებიან ჭრელ სამოსელში, ჩაიდებენ ხალხს საყდარში ხელში, საკმეველის კვამლით გამოაბრლებენ, „ლაბადების“ ზღაბრით გამოაყრუებენ!

ღრმით დარწმუნებული იმაში არიან, რომ მსმენელები მუნჯი, ყრუ არიან, რომ „ლაბადების“ ქარაგმების მათ არა ვაეფებათ!

რაც კი უნდოდათ, მას იმოწმებდენ, ხალხი მაინც ვერ შემოწმებდა,— არის ტყუილი, თუ ეს მართალი,— რადგანაც ხუცებს თავის დავთარი ჰქონდათ ჩაკეტილი მუდამ ცხრაკლიტულო!

მაგრამ მღვდლების ფარფაშს ბოლო მოეღო ცხრაკლიტულის კარი ფართეთ გაიღო. ხალხს საშუალება მიეცა სრული, დღემდის აკრძალული, რაც რომ იყო ხილი, ყველა მან იხილოს!

და აი, რას ვხედავთ, თუ ჩვენ „ლაბადებას“ კარგად გადავხედავთ; უმთავრესი აზრი, რაც ცხადათ ზედ აზის.— ის არის, რომ ხალხი გახადოს ვაგლიხი!

შიგ კარგი რაც იყო ხმარებაში მას არ უშვებდენ,— ქადაგების დროს ყველა ამას გამოუშვებდენ. ხალხს მას უკითხავდენ, რასაც თვითონ სთხზავდენ!

ცოტ-ცოტაობით მათ იმდენი ჰქმნეს ეს ძველი წიგნი სრულიად გარდაქმნეს. რაც დაწერილი იყო შიგ მარტივათ, შერყვნეს თავიანთ ახსნა-განმარტებით. ეშმაკიც ვერაფერს ველარ გოგებს, მას წასაკითხავათ თუ ხელში აიღებს.

მაგრამ ეშმაკი, როგორც ღმერთი, არ მწამს, ამიტომ სიტყვა მიმაქვს უკან ამ წამს! მის მაგიერობას ისევე მე გავსწევ, თავს არ დავიზოგავ და შრომას დიდს გავსწევი. „ბიბლიის“ ქარაგმებს მდამით გავმარტავ, მის გარშემო ბურუსს სრულებით გავფანტავ.

პირველი ნაწილის განხილვა მე მოუასწარი, ნაწილი მეორე—გამოსვლათა, აი, ეს არი. შემდეგ იქნება ლევიტელთა, რიცხვთა, სხვადასხვა, — სათაურები ყველა მათი ჯერ არ მინდა ვსთქვა.

ფებებზედაც მე არ მკიდია მათი სიწმინდე! ცხადათ რა იყო რომ გავიგო,—მხოლოთ ეს მინდა. როგორ სცხოვრობდენ მამა-პაპა, ჩვენი ძველები. დიდი ხანია ვისიც დადნა საფლავში ძველები.

იმ დროს რას გრძნობდენ; რისთვის იბრძოდენ. ექმდენ თუ არა იმე სიმართლეს, რასაც დევებთ ჩვენ, შვილები, დღეს. თუ სხვა რამ იყო მათი ოცნება. მათ არ იცოდენ კარლ მარქსის მცნება.

ეს რა წამომცლა! მარქსი, ვინ მარქსი! მარქსის მაგიერ მათ ყავდათ მოსე, — მისი ათი მცნებით, რომელთა ღრმა აზრით ეხლაც გაოცდებით.

ამ მცნებათა ძალით, ხან ნებით, ხან ძალით, მდიდრები ღარიბებს ზურგზე ტყავს აძრობდენ. სინიდისის ქენჯნას სრულებით არ გრძნობდენ.

ემყარებოდენ რა ძველ და ახალ აღთქმას, — ხალხს არ ანებებდენ პირში სულის მოთქმას.

და ეს მოქმედება იყო სულ „ღვთის ნება!“

ამ ათ მცნებაზე მეტი რაღა ვთქვათ? ზურგში ეკიდა ხალხს ის მძიმე ქვათ. არც მღვდლებს მოსწონდათ, არც მეფეებს მთლათ, ამიტომ იყო, რომ ნაწილ-ნაწილათ, შესწორება შიგ ისეთი შეჰქონდათ. საჭიროება როდის რისიც ჰქონდათ.

ამრიგათ, თუმცა ის ძალზე გარყვნეს, მაგრამ, იცოდეთ, სულაც არ გვაწყენს, „ბიბლიისაგან“ შევისწავლოთ ჩვენ გაკვეთილი, — ამით არ ვიქნებით კბილ მოკვეთილი! გამოცდილება გამოგვადგება, მტერი თუ ისევ კარს მოგვადგება...

მუთაისი

ტარტაროვსკორმა მოკრა ყური თუ არა — „ქუთაისის მუშაკობის ძროხების ფერმაში 30 სულ ჯიშინი ძროხის დალუპვა უფრო ხელმძღვანელების ბრალია, — მაშინვე შეუდგა ძებნას იმ ორფეხა უფროს არსების, რომელმაც მართლა იმსხვერპლა 30 ძროხა.

სხვათა შორის ტარტაროვსკორს გამგეობის თავმჯდომარე ა. თავართქილაძესთანაც მქონდა ამის შესახებ ხაუბარი. ქუთათელადემ ასე განმარტა:

— რას მერჩიან მე! ჩემმა წინამოადგილეებმა უფრო მეტი ძროხები დახოცეს, მაგრამ მათთვის არავის ცუდი არ უკადრებია. ძროხებიცა მყავს, ღორებიც და სხვა საქონელიც ოჯახში, მაგრამ ჯერ არ დახოცილან წვიმისა და ტალახის მიფებით.

განა ისეთ გერმანულ ძროხებს ეწოდება ჯიშინი საქონელი, რომელიც ჩვენს პირობებს ვერ ეგუება.

რა შეუში ვარ აქ მე.

დღეს კი ძალაუნებურად მიხდება თვალტრემლიანმა დავითრო ტრადიკულად დალუპული ძროხები. მათი სხოვნა არასოდეს არ ამოიფხვრება ჩემს დაჯავრიანებულ გულიდან. ამის მეტი მე რა შემიძლია?

ბრივადამ ასე დასვა საკითხი: „ჯიშინი ძროხების დახოცვა უფრო ხელმძღვანელების ბრალია“.

ბრივადელი.



— მიიღეთ დეპეშა; ტფილისიდან არის მარო დერვაძის საგან.

— ვა, რასა ბრძანებთ! მამ მე დეპეშაზე უფრო მარადთ მივლია? ეს დეპეშა ჩემი გამოგზავნილია ტფილისიდან ოთხი დღის წინედ!

(ხაკოვი.)

მეიცა მეჩა!

სადგურიდან დაიძრა ტრამეის ვაგონი მარშუტი № 2. ამ დროს მატარებელიც ახალი მოსული იყო და ვაგონი მოაღიდა ხალხით გაიჭიდა.

მიქრის ვაგონი.

ისმის გამუდმებული ზარის წკრიალი და კონდუქტორის ხმა:

— ვინ არის უბილეთო.

ტრამეის ვაგონი ყოფილ ზემელის აფთიაქის ადგილს დაუხლოვდა, ხალხი გაჩქარებით მირბის წინ, რომ ჩქარა ჩავიდეს და ვატმანმა ძალა უნებურად არ გააქროლოს წინ. ერთი ქალიშვილითაგანი, როგორც იქნა წამოდგა, სიცილ - ხარხარით მეორეს ხელი ჩამოართვა და ნელა წავიდა გასავალ კარებისაკენ. გაიარა რამდენიმე ნაბიჯი და ლოყაზე ხელი შემოიკრა და სიცილით გადასძახა მეორეს.

— უი, ჩემი სიკვდილი, ბეჩა კესარიო, კიდე არ დამავიწყდა...

— ვაიარეთ, ან გავვიშვით! — ეუბნებიან მგზავრები და გაჯავრებულნი წინ მიდიან.

— რა დავავიწყდა, ბეჩა! — ეძახის კესარიო.

— რაი და იმ მეზობილს უთხარი; (ნელ ნელა უკან უკან იწევეს გასავალ კარებისაკენ) შენს ეზოში, რომ

არის, რომ ქე „იმასვექნი“, გესმის, ქე „იმასვექნი“ თქვა.

— ვერ გავიგე შენ სასიკვდილე, რა „ქე იმასვექნი“?!

— რაი და უთხარი: „ქე იმასვექნი“, ქე ჩავაბარეთქვა.

— მგზავრები ყველანი ჩავიდენ; ვატმანი და კონდუქტორი მხოლოდ ამ ქალიშვილს ელოდებიან.

— თქვე დალოცვილო, ან ჩადით ან დაჯექით! — წყენით ეუბნება კონდუქტორი.

— შეიცა, ბეჩა! ცეცხლი ხომ არ წაგეცია, ორი დერი სიტყვა მაქ და ჩამოვალ.

— ორი დერი კი არა, სამი დერი არ გინდა?! — გაბრაზდა ვატმანი.

— კესარიო! არ დავავიწყდეს, შენ გენაცვალე, ქე „იმასვექნი“ თქვა, ისე მაგრად მოგვიკიდე ხელი, რომ ვეღარ გამეცა და ქე „იმასვექნი“, ქე ჩავაბარე გუშინ.

— კი მარა, შენ სასიკვდილე, არ მატყვი, რომელი მეზობელი?! ხომ იცი, იქინე სამი მეზობელი.

— რომელი და ოგი ქე იცი და რაღას მალაპარაკებ.

ვატმანი მიაქროლებს ვაგონს. ებრასქია (ასე ეძახიან პირველ ქალიშ-

ვილს) გაბრაზებული მივარდება ვატმანს და უყვიროს.

— მეიცა ბეჩა! სა მიხეილ რა უზღელი ყოფილა (მიუბრუნდება და გადასძახებს კესარიოს) რა მიქნა ამ სასიკვდილემ, ხედავ?! (მზიარულად კესარიო არ დავავიწყდეს, უფქველად უთხარი იმ მეზობელს, რომ ქე „იმასვექნი“ თქვა, (მიუბრუნდება კონდუქტორს და ვატმანს) უზრდელები! (ამ დროს ვაგონი გაჩერდება, ვატმანი და კონდუქტორი ელოდება, როდის ჩამოვა აბეჩარი ქალიშვილი).

— აბა, ეხლა მიინც ჩამობრძანდით! — ეუბნება ვატმანი.

ებრასქია კიბის ერთ საფენურზე ჩამოსდგამს ფეხს და ეძახის კესარიოს.


— კესარიო! არ დავავიწყდეს უსაოთუოდ უთხარი: ქე „იმასვექნი“.

— ქე იმას ვეჭები, ქე იმას ვეჭენი, იმას ვეჭენი! მოგვიწყდით, თავიდან! აჯავრობს გაბრაზებული კონდუქტორი; ხელს მოჰკიდებს და ძალად ჩამოსვამს ძირს. საერთო ხარხარია. ვაგონი დაიძვრის. ებრასქია კიდევ ხელს ხის.

— კესარიო მე, რომ გითხარი, რომ „იმასვექნი“ მერე შემობრძინე ჩემთან და ერთად „იმასვექნით“. მართლა, კესარიო არ დავავიწყდეს, ქე დევიქითე და ქე ჩავაბარეთქვა.

მხახათი.

მსაჯული



„გაღარჩენილი“: — მეგონა ჩემ გვარს სწერდა შავდაფაზე და ნიკო ყოფილა... ძაან გადავრჩი...

„კურდღლები“

ნატარებელში კოკი და მიტრო — აღექი ბიჭო, მივედით საჯევა- ირხინათ ხერინავდენ ზედა თა- როზე.

ბავში იჭყვირდა. მიტროს ყურებ- ში ჩაეწვეთა. შეინძრა, ზღაზნით და- იარისა თვალეზი და თაროდან ჩა- მოკოცდა იმის გასაგებათ, თუ რო- მელ სადგურს უახლოვდებოდენ. ხე- ლეზი ჯიბეში ჩაიწყო, ერთ მათგანში მოჰყვა პატარა ოთხკუთხედის ზომის ცარღონი, რომელზედაც ეწერა:

ა.კავკასიის რკ. გზა.  
ტფილისი — მცხეთა.

მიტრომ ქურდულათ გაიღიმა და ბაღეთი ისევე ჯიბეში ჩაიდვა.

მალე ორთქლმავალი ხენეშითა და ქოშინით შევიდა სადგურში. მიტრომ სადგურს იცნო და სწრაფად მძინარე ამხანაგისკენ გასწია.

— კოკი, კოკი! — შესძახა ამხა- ნაგს; მაგრამ კოკი არ შენძრეულა. მიტრომ კიდევ სცადა ამხანაგის გაღ- ვიძება, მაგრამ ამაოდ. იცოცდა თა- როზე და რუმბივით გაშოთილი კო- კი, მაგრად შეარჩინა:

კოკიმ გაიგონა, გაურკვეველათ აბურტყუნდა და ძილი განაგრძო.

ობერმა მისცა სასტვენი და ორთ- ქლმავალი წასასვლელათ მოემზადა. მიტრო სწრაფად წავიდა, შემდეგ მიბრუნდა და თავ - აღებით შეჩერ- და კოკის კუბეში.

ბილეთები მოამზადეთ, — ხმა- შეცვლით წარმოსთქვა, — რევიზო- რი მოდის!

კოკი დაფეთებული წამოვარდა და თაროდან საჩქაროდ ჩამოვიდა.

— საიდან მოდის რევიზორი? — შეეკითხა კოკი მიტროს.

მიტრომ მალული ღიმილით გააგ- ლო წინ და ჩასტურჩულა:

— მოგატყუილეთ, ისე არ იქნა შე- ნი გაღვიძება!

ორივენი საჯევაზოს სადგურში ჩამოჰბტენ გაქანებულ მატარებლი- დან.

კ ა ტ ი ბ ე უ .

დათვმა მეგლს მისცა პირობა: ვიაროთ მთად და ბარადო, ნანადირევი ორთაიგემ გავიყოთ თანაბრათო.

ვერ დაასრულეს ბაბი, ჩირგვით აუხტათ კურდღელი, დათვმა თათი ჰკრა, მეგლმა კი გამოუშინა მუცელი.

ნანადირევი მცირეა, დათვს ეცოტავა თვალეზში, და მეგლის წილსაც იხემებს ბაბუა მისი ვალეზში.

— გაქვითეთ. მინდა ეს ლუკმა მუცელში ჩავაბანაკო, და იმის შემდგ რაც ვნახოთ, იმაზე ვილაპარაკოთ.

მელა გამოძვრა სოროდნ, გადაბანწული შიმშილით, საკბილოსაკენ მიიწივს გაძვიროლი ღიმილით.

რა თვალი მოჰკრა დათვს და მეგლს, თათი მოისევა ცხვირზედა, მსუქანი კურდღლის ხილვაზე ნერწყვი მოაღდა პირზედა.

მეგლმა დაასწრო:—მელიავ; დათვმა მომთხოვა ვალო, ნანადირევისა იხემებს, გვიყავი სამართალიო.

—აბა რა ვითბრათ, ძმობილო, არა ვარ დიდი ნასწაველი; ვიცი, რომ ომის მომენტებსა სრულად ეკუთვნის ნადავლი რა საჭიროა სისხლის ღვრა, ამ დროს დაუდგეს თვალის; მაგრამ საკითხსა სადავის, მაინც სჭირდება ხმალიო.

დათვი გაუხდა თანახმა, —მომეცი, ძმავო ხელიო, მაგრამ ვის ვანდო კურდღელი, რომ გვერგოს უკლებელი?

—რა ბრძანებაა! მე—მოლა, მიიღებთ რაც, რომ თქვენია. —არა, ძმობილო, დედისგან შენზე ბევრი რამ მსმენია.

მზა მზარეულის ხილვაზე ვხედავ მოსულხარ მადაზე, აი, ამ ხეზე ავიტან, არ შეგაწუხებთ მაგაზე.

სთქვა და იმ წამსვე მუხის ტოტს ზღაზნით აუყვა დათუნა, მაგრამ მსუნაგმა კურდღელი გზაშივე ჩაახრამონა.

მელამ ყურები დაუშვა, უნდა ვიცხოვრო ვუიოთ, სახელგანთქმულსა გონებით, დათვმა მჯობა ქკულით.

მ უ ზ ი .



# სსპადსსპა სიგლაკები

სტუდენტები:

მე ვარ და ჩემი ნაზადი  
გამთენებელი ღამისა.  
დავწვები, დარდი ჩამყვება  
მაგრად გაძლომის, ჭამისა.  
ბიუროკრატი:

ამელამდელი ღამეო,  
ნუ გათენდები მალეო.  
ტრესტიდან პანლურს ამომკე-  
რენ,

წმენდა იწყება ხვალეო.

კოოპ. ნოტარი:

კარებს ბოქლომი დავადვოთ,  
დავეტოთ ნელა-ნელაო.  
დეფიციტიანს საქონელს  
მაშინვე უნდა შეველაო.  
ზურგზე მოვიგდოთ შეკრული,  
ღამით როდესაც ბნელაო.  
მომხმარებელსა რად უნდა?  
შინ მივიტანოთ ყველაო.

უოფ. ვაჭარი:

ღამისხით, დამალევინეთ  
ამ ტიკით მასვით მაჭარი.  
ეგების გადამავიწყდეს,  
რომ ვიუაგ დიდი ვაჭარი.

ფულანგველის ცოლი:

ორთაჭალის ციხეო,  
ბარე სამჯერ გნახეო.  
ჩემი ქმარი მანდ არი,  
დიღხანს შეინახეო.  
პულრითა და პამადით  
დავიმშვენე სახეო.  
ჩემი ქმარი მანდ არი,  
მე სხვა გამოვინახეო.

პოეტი:

ეს რა ჩიტი მოფრენილა  
საიდან და სიდაური?  
დღეს ბაზარში დამიფასეს  
ათ მანეთად ინდაური. ზმუკი.

# სამართლიანი საყვედური

(სოფ. ზემო-მაჩხაანი, კახეთი)



— ექვ! ყველა სოფელს წყალი ეღირსა და ჩვენს სოფელს კი საშველო არ დაადგა!

(მ. საკინი).

# ჩვენნი ფოსტალონი

ბებია მისი ენაცვალოს ჩვენი უბინის ფოსტალონს. ასე ყველაფრით შემკული იშვიათად მინიხავს კაცი. თვალტანობით ყარამან ყალთას მოგაგონებს, ულვაშებით კი — ვილქელმს.

ჩვენს უბანს ორ - სამ თვეში ერთხელ ინახულებს.

მის უმწიკლო მუშაობაზე, რომ ბეჭდის თქმა არ დამჭირდეს, მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს:

ერთი წლის წინად ცოლის ძმას ცოლი გახდომოდა მძიმე ავად. ჩემთვის წერილი გამოვგზავნა და ფული შეომითვალა. წერილი არ მიპილია და ამიტომ არც ფული გამომიგზავნა.

ავადმყოფი გარდაცვლილიყო.

ჩემს ცოლისძმას ჩემზე გული მოსვლოდა (ვაჭირვების დროს ფული, რომ არ ვასესხე), და დამარხვავ აღარ შემოეთვალა.

ერთი წლის შემდეგ ცოლისძმას გულზე მოშვებოდა ბრაზი და მესტუმრა ტფილისში.

სწორეთ საღილზე ვიჯექით, როცა შემოალო ფოსტალონმა კარები და გადმოცა წერილი. წაკითხვის შემდეგ, წერილი ცოლისძმას გადაეცა. მანაც ბოლომდე წაკითხა წერილი და შემდეგ მიუბრუნდა ფოსტალონს:

— შე ოჯახდასაქცევო, წელიწადია, რაც ეს წერილი გამოვგზავნე და შენ ახლა მოიტანე? ფული შენს კაცობას! — გაბრაზდა ცოლის ძმა.

— რა უმადური ყოფილხარ ვილადა ხართ! — თუ კი ერთი წელიწადია მას შემდეგ, მადლობის ღირსიც ვარ, ამდენ ხანა წერილი შემინახავს და არ გადამიცდია. აღსუს, რომ ამდენ ხანს შევინახე და მოვიტანე! — სთქვა ფოსტალონმა და კარები გაჯაერებით გაიხურა.

კ. ხაფიჩიელი.

# მეზღვეობა

## პატაკი ტარტაროზს

(ამხ. სტალინის სახელობის რკინის გზის სარემონტო ქარხანა)  
ცნობები სახარბატოდან

### ცნობა პირველი.

ამ საამქროში  
შეხვეალ თუ არა,  
ნახავთ: ერთ-ერთი  
ჩარხი ცრემელსა ღვროს.



— რა დაგემართათ?  
რამ გაგამწარათ?  
ვგებ მიუძღვის  
ბრალი დომბროვსკის?  
— დიხს! — მიიღებთ  
მისგან თქვენ პასუხს,—  
დიდი ხანია  
ვგდივარ უსაქმოთ,  
ოხ, ნეტავ როდის  
ფიხილავ ნატვრულს,  
რომ მეც სხვებსავეით  
ამამუშავონ...

### ცნობა მეორე.

კედელზე რომ ჰკიდია,  
ქ დაფა შავი,  
და ხედ რომ თეთრად  
არის წარწერილი:  
ვილაცას ალბათ არ ჰქონდა  
თავი,

რომ ძველი ციფრები  
არ არის წაშლილი.  
მისულა მუშა  
და ვადუსვამს ხაზი;  
უთქვამს: — ეს ცნობა  
არის დიდი ხნის!



რათ ვარგა, თუ რომ  
დღემდე ეს გამგემ  
არ იცოდა და  
დღესაც არ იცის.  
ტარტაროზის ბრიგადა

## ჩუბინიკმა ჩხრიპა, ჩხრიპა

„მე, ჩუბინიკე გახლავარ,  
შარკოზიჩი ვარ დღია,  
ხელში მეჭირა მათრახი,  
არ მომდიოდა ძილია.  
გლუხებსა ვცემდი ხრესილში,  
ბეგრს ჩაუძვრევი კბილია,  
მსურდა მით, ხელისფლების,  
გამომეთხარა ძირია.  
სულ ბათუბუთით ჭეჭავდა  
სოფელში ჩემი ნაგანი,  
წავაჭრით თავებს პრასიციო! —  
ყველამ მომეცით გზა! განა!“

ასე ლიღენებს თავის გულში სო-  
ფელ ოჯოლის (ხრესილის თემი) ალ-  
მისკომის თემფდომმარე ილია ჩუბი-  
ნიკე, რომელიც თავის თავმჯდომე-  
რობის დროს გლუხებს სცემდა და  
აწიოკებდა. ეს მოპრასიციო ვაჟბა-  
ტონი ისე გათავებდა, რომ გლუხებს  
როსტომ და პარმენ შანიძეებს რე-  
ვოლვერიც კი ესროლა. ცემა-ტყემა  
და ლანძღვა გინება კი მისთვის ისე-  
თივე ჩვეულებრივი შესაქცევი საგა-  
ნი იყო, როგორც „ტბილი ხაჭაპუ-  
რი“.

ჩუბინიკეს თავი ამეამად რიონპეს-  
ში შეუფარებია და ლიღენებს არხე-  
ნად.

ან კი რა აქვს საღარდელი ისეთ  
გულჩვილ ხალხს ხელში, როგორა-  
თაც ხანდახან ქუთათური პროკურა-  
ტურა და ქუთაისელი მსაჯულები  
გვევლინება? ქუთაისის სასამართ-  
ლომ „გვრ მოუნება“ ამ „გმირს“ შე-  
საფერი კვალიფიკაცია და მას „რა-  
ლაც“ ერთი წლით იძულებითი მუ-  
შაობა მიუსაჯა, ისიც დაოპაროვი-  
ბლათ.



— მან უზენაეს სასამართლოში გაასა-  
ჩივრა ქუთაისის სასამართლოსაგან  
მისჯილი „სასჯელი“. უზენაესი სა-  
სამართლო კი ისე გულქვა აღმოჩნდა,  
რომ ვააუქმა და უკან დააბრუნა ჩუ-  
ბინიკის საქმე მისი შემსუბუქების...  
უკაცრავად ჩუბინიკისთვის შესაფე-  
რი მსაჯვის გამოტანის მიზნით.

ეკრანი.

მედუზა.

## ქ რ ო ნ ი კ ე ბ ი

**ქ შ რ ა ლ ბ ა.** საღვურში მძინარე  
სტუდენტს ქურდებმა ტანზე გახადეს  
და მოჰპარეს ტანზე-ცმული საცვლე-  
ბი. სტუდენტმა ეს ამბავი მორვე  
დღეს გაიგო აბანოში.

**მუ ლ ი მ ი ვ ი ს ა ბ ი.** ზედაგოვიურ  
ინსტიტუტში შეიძინა ევროდოლოგბუ-  
ლი „მულმივი საათი“, რომელიც ყო-  
ველთვის „11 საათს“ უჩვენებს. საათი  
ჰკიდია დერეფანში კიბესთან.

**ი ზ ვ ი ა თ ი ა ლ მ ო რ ი ა ნ ა.** „ქაეტის“  
სასადილოში ერთმა მოსადილემ ბო-  
რში აღმოაჩინა ხორცის ნაჭერი. მზა-  
რეული მიცემულია პასუხისცემაში.  
ველევა-ძიება სწარმოებს.

**დ ზ ჯ ა ხ ე მ ა.** კარლ მარქსის მოე-  
დანზე, სადაც წინედ ვორონცოვის  
ძეგლი იდგა, შოფერ დემიტრი კლი-  
მენს ნიშანსეკტთან მდგომი მილიცი-  
ელი ვორონცოვად მოუჩვენა, განგებ  
დაეჯახა მას და მიიმედ დააშავა.

**ს ა ხ კ ი ნ რ ე მ ო ვ შ ი.** ლიბრეტოებზე  
გამოცხადებული საყოველთაო კონ-  
კურსის პრემიები განაწილებულ იქ-  
ნა სახკინმრეწვის სცენარისტებს შო-  
რის. დაწუნებულ ლიბრეტოების  
„დაბრავულ“ გარეშე ავტორებს შე-  
უძლიათ გაიარ-გამოიარონ სუფთა  
პაერზე.

ეკრანი.

მედუზა.



გვინახულე, ტარტაროზო, ტაქის საქმე რაგვარია-  
საშენებლო, ვიდრე სხვან, სხვებზე მეტი აქ არიან.  
გმირი ჩვენი პოემისა კობახიძე ბეგლარია,  
ის ბეგლარი, რომელმაც რომ ნიკორწმინდა სულ არია.

რაც დრო იცვალა, ყოველთვის მანაც იცვალა ფერია.  
გაძვრება გაუძრომელსა ბეგლარი, ვითა ფერია.  
მეფის დროს ბეგლარს ბევრთათვის თავს უტეშია კეთია.  
მართალსა ვამბობ ყოველსა, თუმც ძნელი დასაჯერია.

უყვარდა ბეგლარს ძველს დროში სასამართლოში წრიადი-  
სანიერებისა უშიწნოთ წერა დაფრიალ - ტრიალი.  
ოქრუას შვილებს ბეგლარმა დააწუებინა ზრიალი,  
და აშინებდა ოზლებსა, (დათვივით იცის ღრიალი).

მიჰყიდ - მოჰყიდა ქონება ძმისა იყო თუ სხვისი  
(არ აწუხებდა ბეგლარსა წამუსი და სინდისია).  
ჩაუსახლდებოდა ჯმუხაძეს (ქალი ითხოვა მისია).  
განსწიან სამიკიტნოსა, (არ შეიძლება ნისია).

ქუთაისისკენ მიმავალთ გლეხებს გააძვრეს ტყავია.  
სიძე - ცოლისძმამ იშოვეს ფულები უამრავია.  
იუკადრისა ბეგლარმა, მიკიტნად უოფნა ავია,  
და გამონახა სხვა საქმე, საქმე ისევე შავია.

ყიდულობს - ჰყიდის საქონელს წარი არის თუ ცხენია.  
სოფელის მოტყუილება ბეგლარსა არა რცხვენია.  
მუქთად ჩაიფლებს ხელში, რომ შემდეგ აღინოს წვენია  
მენშვიციების პარტიას ბეგლარით დაუმშვენია.

აე მსჯელობდა ბეგლარი ჩოღარი, მიკიტანია:  
ბევრი გავყვლიფე, გავსუქდი, დამრგვალდა ჩემი ტანია.  
ბევრი ხელობა ვიციადი ცხოვრების გასატანია;  
არ ვითაკილებ არაფერს ფულების თუ მომტანია.

ერთი ღრთობა არავის არ შერჩენია, ძამია.  
მენშვიციები წავიდენ იმავს ერთი წამია.  
ძირს ჩამოვყარე უურები, საკმელი არ მიჭამია;  
ველოდე, აღარ დაბრუნდენ, ვიგლოფე წელი სამია

რა მექნას. ფერი ვიცვალე; ქურქი ჩავიცვი ცხვარისა.  
მსურდა და კიდევ მოვიგდე ადვილი თავმჯდომარისა.  
ნიკორწმინდისა კაროლი მეფე ვარ არუ-მარისა.  
ძველი თავადი გახლავარ, თუმცარ ვარ მათი გვარისა.

ფერმა მოვაწვე... შიგ გამგეტ დავნიშნე ჩემი შვილია.  
პროხები ბერწი გამოდგენ ხმო არა შობეს ჩვილია...  
ვიკვობდი — სოციალიზმი იყო ასეთი ტკიბილია...  
ღმერთო მიფარე, არავინ არ გამკრას ხასრი კბილია.

ვანთი.

„ტარტაროზი“-ს  
უფლები ნომერი  
გამოვა 7 ნომერს

# იზიანთი ფეხვა

(ქულაში, სამტრედია)

პასიკო: — დაგემტვრა თავფეხი  
და ვერ გაიარე მიწაზე, რავეც კულა-  
შის 7 წლედის შენობა იმტერევა  
უპატრონოთ. დავესნა სახსრები და  
დავეკარგა თვალში სინათლე, რავეც  
კულაშის ფოსტაში იხსნება და იკა-  
რგება წერილები.

ირინე: — დაგემტვრა თავი, ტანი  
და სახლი თავზე, რავეც კულაშის  
კოლექტივის გამგეობის თავმჯდომე-  
რე ალექსანდრე შენგელა დათვრა  
და დამტვრია აღმასკომის ინვენტა-  
რი. აგერია ტვინი თავში და ვერ მი-  
აგენი სახლს, რავეც სოფ. ხუნჭუ-  
ლიორის სამკითხველოს გამგე ყენია  
მეიშვილის წყალობით არის არეუ-  
ლი სამკითხველოს საქმე.

პასიკო: — მოგიღუნდა სხეული  
და გაგიშტვრდა თვალები, რავეც  
კულაშის თეშშია კულტურული მე-  
შობა მოდუნებულნი. გაგისკდა გუ-  
ლი და გაგიფშოკინდა ფეხები, რავეც  
სერაპიონ ბანძავამ გაუწეთქა თავი  
მის რძალს კეტით და კინაღამ გა-  
ფშეკა ფეხი.

ირინე: — დავეკლტა კბილები  
და დავრჩა დაკრიჭნებული, რავეც  
ხუნჭულურის კოოპერატია ყოველ  
ლდე ცაკეტილი. ჩავერია ოჯახში  
ქირი, რავეც მიტროფინე თადღუმაძე  
ჩერია ახლო-მახლო მუშობულ ქა-  
ლებში და ააფორიაქა ოჯახები.

პასიკო: — გავეშო მუცელი ქი-  
რით და ვაგაბზეკა ფეხები, რავეც  
სამტრედის კოოპერატეები ვავესო  
გამგეობამ შესიელ ვაქორუქანებით.

ირინე: — ავეესო მუცელი შხამით  
და ჯიბე ვახშით, რავეც სამტრედის  
მესამე მალაზის ნოქარ კვანტალაა-  
ნის სახლია ავსებულო კოოპერატი-  
ვიდან გატანილი საქონლით.

პასიკო: — დავეძინა და არ ვამო-  
გელვიძა ერთ წელიწადს, რავეც სამ-  
ტრედის ილმასკომის თავმჯდომე-  
რეს სძინავს და არ აქცევს ყურად-  
ღებას გზებისა და ბოგირების შეკ-  
თებას.

ირინე: — ავიწილდა მუცელში  
წლები და არ იქნა შენი დაწყარე-  
ბა, რავეც ეფროსინეს და დომანს  
ჩხუბით არიან ახლო-მახლო მუშო-  
ბები აწრიალებული. დავესო თფ-  
ლები და ვადაეფარა ლოდი გულ-  
ზე, რავეც ვაქარ იოსებ რუხაძეს ვა-  
დაეფარა ვილაცას ხელი და უენებ-  
ლად ვაძვრა აპარატის წმენდაში.

დაუნდობელი

## ბუზების გოდება

ბაშკინეთის კოლპერატიულმა სასაიდლომ იმ მიზნით, რომ უფრო „უზრუნველყოს“ მუშათა კვებით მომარაგება, ბევრი ახალი საშუალება გამოიგონა. სადილს რომ უფრო მეტი „ცხიმო მიუმატოს, ხარშის დროს შიგ ურევს ბუზებს.

(ა—ვი).

მე ბუზი ვარ საცოდავი, დავთარი მაქვს არეული, თუ კი საღმე დამიხელთა, — დამიჭირავს მზარეული, — არც მომკლავს და არც დამარჩნის, არც მაღირსებს მე დანასა, წვნიან ქვაბში ჩამიძახებს, როგორც ძვირფას „სმეტანასა“.

## „გამოსავალი“

სატყეო ტრესტს მარელისის გრებელ — ავეჯეულობის ქარხნისთვის უნდა მიეცა 160 ათასი კუბომეტრი ნედლი მასალა. დღემდე ქარხანამ მიიღო მხოლოდ 80 ათასი.

(გაზეთებიდან)



დნარჩენ 80.000 კუბომეტრ ნედლი მასალის ნაცვლად ტარტაროზი უგზავნის მარელისის ქარხანას 80.000 ცალ დირექტივას, რომლის თვითული ეკზემპლიარი შესდგება ბგრეთვე 80.000 მუხლისაგან თვითული მუხლი 80.000 პუნქტისაგან და თვითული პუნქტი 80.000 შენიშვნა — განმარტებისაგან. ასეთი ღონისძიება სატყეო ტრესტის აზრით სავსებით უზრუნველყოფს მარელისის გრებელ — ავეჯეულობის ფაბრიკის მათერ საფინანსო — საკონტრალო ზომის წარმატებით. შესრულებას.

## ვის როგორ ესმის

საბჭოთა მეურნეობის ღვიწის სარდაფის მუშების საერთო კრებამ დაადგინა წარმოებას სრული ასი პროცენტით მიემავრონ.



## ლოთი-ფოთი საბაშუაპი:

—აი, მესმის ასეთი მიმავრება! ამისთანა სიმბატიურ წარმოებას მეც სიამოვნებით მივემავრები.

## „ბოიკოტი“

მარელისის გრებელ ავეჯეულობის ქარხნის ბულალტერმა შალამბერიძემ, რომელიც გაზეთებში იყო გაწერილი, ქარხანას (მის შესახებ გაზეთებში წერილების გამოქვეყნების გამო) ბოიკოტი გამოაცხადა და რამდენიმე დღე წარმოებას არ მიკარებია.

(გაზეთებიდან)



— წარმოება, მშვიდობით! მკერღზე ველარ მიმიკრავ! გაზეთებში გაწერამ შემიცვალა მიმიკა!

## უმანკო მსხვერპლი

საწვავი მასალის საკმაოდენობით მოუმარაგებლობის საქმეში ზოგიერთი კოლპერატივები აშკარა ბოროტმოქმედებას იჩენენ. ბადაურის კოლპერატივმა თავის დროზე ვერ მოიმარაგა საჭირო რაოდენობის საწვავი მასალა. სოფ. ბოგდანოვის და სოფ. ყანდაურის არტელის ტრაქტორები რამდენიმე დღეს იდგნენ უქმად ნავთის უქონლობის გამო.

(გაზეთებიდან)



- ვისია ეს მიცვალბული?
- ყანდაურის არტელის ტრაქტორია... საწყალი... ჯერ კიდევ სუნთქავს.
- რა მოუვიდა?
- ორი კვირაა რაც არც ერთი წვეთი ნავთი არ ჩაუყლაპავს და შიმშილით გული შეუწუხდა.

## მოციქული


ზოგიერთ სოფლებში „მორწმუნე“ კულაკები ფულს აგროვებენ ეკლესიის ასაშენებლად იმ დროს როდესაც სკოლები ბევრ ადგილას შეუკეთებელია და ფანჯრებჩაუსმელი.

ტარკორის წერილიდან.

გაიცანით — „მშენებელი“. — კულაკების მესია. მავნებლობის ბუდე არის ის და მის ეკლესია: ეს „სინათლის“ მოციქული, ხატებით რომ „ამშვენებს, — სკოლას სახურავი არ აქვს, — ეკლესიას აშენებს.



# „დრო-ფულია“



— რატომ წაუკეთხავთ აწერო ხელს?  
— სადა მცალია ამათ წასაკითხავად?

**მ. ბათუმში აზარტულ სათამაშოების დაკეტის შემდეგ ექიმ შიშლო-საბაშვილის ბინაზე გაიხსნა კ ა ზ ი ნ ო**

თამაშობა გადასულია განუწყვეტელ ღამეებზე, ე. ი. იწყება საღამოს 8 საათზე და თავდება დილის 8 საათზე... (სამსახურში წასვლა პირდაპირ კაზინოდანაც შეიძლება. წვრილფეხა მოთამაშეებს ვსთხოვთ თავს ნუ შეიწუხებენ მოსვლით.

---

**ხრეიტიის „კიათურის რაიონი“ აღმასკომის თავმჯდომარეს ღამით სიმთვრალის დროს ტალახში (ცუდი გზებში) დაეკარგა**  
**10 ნომერი კალოში**  
გთხოვთ ჩასთვალთ გაუქმებულად.

---

**ს.ო.შ. მთის-ძირის (ტოხანიერის თემი, ვანის რაიონი) კოოპერატივის ნოქარმა და გრიგოლ შენგელიამ დაარჩეს ადგილობრივად მიღებულ წერილების**  
**ც ე ნ ზ უ რ ა**  
ცანწურაში გაუტარებელ წერილების მიღება აკრძალულია.

# ს ა მ ტ რ ე ლ ი ა

გვეშინია ქუხილის და ელვის გაულგების. გაგვიფუჭდა ბოვირები, დაილუპა გზებიც.

აღმასკომი თუ რას იქებობს, აღარ ვიცით ჯერა. მითითება ჰქონდა, მგონი, ასჯერ, ათასჯერა.

მომბეზრა თავი მუდამ. კავშირებზე წერამ. პროფსაბჭომ თუ არ გვიშველა, მოგვკლავს ბედის წერა.

ზოგიერთი თავმოჯიშარე გამოცველით თორემ, აღარ უნდა ლაპარაკი. მიგვცემს ცრემლის მორევს.

თვით არ ესმით კავშირებსა წესდება და წესი. უცხო ხილად ეჩვენება, კამპანია თესვის.

ორჯერ ორსა შეაჯამებს, გამოუღის ათი დირექტივიზს არ კითხულობს, ეშინია მათი....

წარმოება არ მინახავს,— ასე წყნარი, ჩუმი... ქალივითა ზის და ნახობს ხეენი „აბრეშუმი“.

საამაყი არაფერი მას წინ ჯერ არ უდევს. ივსაქმებო თუ ბიჭი ვარ ამ უსაქმო „ბუღდს“.

რაიკავშირს და ბაღ - ბოსტანს, უნდა შეხურება,

რომ მათ ვაიის ლაპარაკი — აღარ ეყურება. და ზარალი იმდენია, არ ითქმება ვნით: ფენებზედაც არ ჰკიდათ გლები განაწყენი.

## ბ ე ლ ე ზ ო ნ ი თ

(ამბროლაური)

ვინ არის? კოლმეურნეობის ცენტრი? ჰა? როგორ? ილაპარაკე. კაცო. ცოტა ხმამაღლა; რა უბედურება გაქვს მაგ ყელში? გეტყობა ცოტა ნასვამი ხარ. გეძინა? „პახმელია“ ხარ? ვინ ვლაპარაკობ? ილიკო ვარ. ბიჭო, რაშია საქმე იცი? დამიგდე ყური. თუ ძმა ხარ სიმონს გადაეცი მომავროს ლანდია. პო, პო ის არის წინად, რომ სოფელი აკლებული ყავდა. ნათავადარიც არის. კოლექტივის მდინად არის ჩვენ სოფელში — სხვაგვში. რაიო? სიმონს უთხარი მანდ, რომ ამ: იაროს სხვაგვში. რაო? შემოდგომის თესვისათვის ჯერ ერთი კაკალი პურიც არ მოუფროვებიათ? მე? რა ჩემი საქმეა ეს! მე კოლექტივის თავმჯდომარე ვარ და არა თესლის მკრეფელი.

თქვენი ტრაქტორები ისევ უმოძრაოდ დგანან? ბიჭო, ამდენი ძილი აწყენს, ტრაქტორებს. ვალოდიას უთხარი, რომ ოთხ აგრონომს კაბინეტში ნუ სძინავთ, გამოვიდენ გარეთსოფლებში თესვა იწყება უკვე. ნულარ დაალევიებთ მაქარს, თორემ ეს რასა ჰგავს, კაცო, სოფელი უყურადღებოთ არის მიტოვებული ჩემო კალიტე, ივარჯე ბიჭო!

ბრაონიკი-

დაალბეს და გააფუჭეს ბოსტნეული, ხილი; ყველას გული აუღულდა, მათი ნახვით, ხილვით.

კავშირო და ბაღ - ბოსტანო, სირცხვილია ესა. გლების დოვლათს, ნაამგარს თქვენ — ფეხებით სრესავთ.

სარეწაო ანგარანში, ამბებს ვხედავთ, მძიმეს, თანამშრომლებს შუქი წყალობს თურმე მოციმციმე.

სააარაკო ერთი რამეს ვიტყვი გასაგონად, რამაც ბევრი დააფიქრა, ბევრი დაალონა.

ფართალი რაც მოიტანეს (ტყვეული კიდე) „სისხარულით“ გაიყვეს და ზურგზე გადიკიდეს.

ერთნაირად გამოეწყვენ, (ჰქონიათ კი გემო), — რაც ამითი მათ მოიგონ, პოლოს დაიჩემონ.

ბანოვანებს დალუპრია, ფოსტის არე - მარე; თავის ბინა მიუჩინოთ, ლახლანდაერბს მალე.

ტელეფონთან ჩურჩულითა, რომ პრაწივენ თვალებს. შიგნით „მზესა“ ფიკულობენ, და გარეთ კი „მთვარეს“

და ძახილი საქმიანი აღარ ისმის უკან. ე, ქალებო ასეთები ტარტაროზს არ უყვარს.

გავნელი ბზიკი.

ლორჯო-კბილას (აქვე). თქვენი „აფრინეს ლა-ლიო, რაც არ არი, არ არიო“, თქვენზე წერილზე რომ არ არი აქ ლაპარაკი?

ნიბრიუს (ხონი). თქვენ ასეთ წერილში, მხოლოდ ეს ადგილია გვარიანი:

გამოვედი ხონში თავისუფლების მოედანზე ავტოს ბილეთის საყიდლად. — ბიჭ-ბუჩუბმა მიჯიქის და დამი-წყეს ცემა. ვიღაცამ მილიციელს უთხრა: — მიეშველეთ,



ხომ ხედავთ ხულიგნები კაცს სცემენ — აქ თავისუფლე-ბის მოედანი, ყველას უფლება აქვს თავისუფლად იმო-ქმედოს! — უთხრა მილიციელმა. და წავიდა მახლობელ სამიკიტნოსაკენ.

წერილის დანარჩენი ნაწილიც წავიდა... გოდორისაკენ.


ლიკლიკოს (სენაკი). სიმაართე გითხრათ, თქვენი „სიზმრის ასხნა“ კი არა, წერილის შინაარსიც ვერ გავი-გეთ. რკ. გზის სასადილოს შესახებ, ალბად იმისი თქმა გინდათ, რომ:

ტარტაროზო, ჰერი,ჰერი...  
შემაჭამეს ბევრი მწერი. (სჯობია—მწერი)  
სასადილოს ქაფავს ყველა,  
დროზე უნდა ძმავ შევლა.

აი, დაახლოვებით ასე მაინც რომ დავტყუროთ, მაშინ

საბეჭდოად ვიღობთ წერილის ბოლოში გვწერთ, რომ: „ხადმე მაინც ჩავ-კეტოთ ეს ჩემი წერილი“-ო. შევასრულეთ თქვენი თხოვე-ნა, ჩავკეტეთ კი არა ჩავაბრძანეთ საიმედო ადგილას.

იანუხს (ლანჩხუთი). თქვენი წერილის შინაარსიდან ხანს, რომ იანუსი თქვენ კი არა, თქვენი კოლაპორტივის ნოქარი აბოლონი ყოფილა იანუსი (ორპიროვანი) თუ ასე იქცევა.



— მიირთვიოთ თქვენი ჭირიბე. || — არა გვაქვს ქალი!

ბრიბადმელს (ჩხარი). ტარტაროზს სიბოვით, რომ მგერად შეახსოროს „ჩხარის ბიჭები“, — და სწერთ: „მა-ლე ვიუქმებოთ თქტომბრის თერთმეტი წლის თავს“-ო.

ჩვენ კი მალე ვიუქმებოთ თქტომბრის მეთოთხმეტე წლის თავს. (როგორი ბრიგადელი ხართ თქვენ, როცა თქტომბრის სათვლავი არ იცით!)

ჩამოსულს (აქვე). შე კაი კაცო, რეფულენის კრი-ზისზე ლაპარაკობ და სახელგამს „ტყავს აბრობ“, ამგე დროს მთელი რეველი გავიგისათ ასეთი უშინაარ-სო წერილით. გახსოვთ — გვპირდებოდი წინედ: „ეს ერ-თი დამიბეჭდეთ და შებედეში აღარ შეგაწუხებთო“. ჩვე-ნაც დაბეჭდეთ მაშინ. მაგრამ ეხლა ნურას უკაცრავად, კიდე ვეღარ შეგვიყვანთ შეცდომაში.

მნახვალს (ხარაგოული). თუ აქვე მოთაქმებული თქვენს მიერ გამოგზავნილი სურათი სინამდვილეს შეე-ფერება, საექიმო თვითონ ყოფილა. საფადმოყოფოს გამგე ექიმი.



ავადმოყვს შიშით გახეთქავს,  
დაუბრიალებს თვალმსა.  
იქით კინწის კვრით გაავლებს  
მოსამხანაურე ქალებსა

მიჰმატეთ მის მიმართ მასავე საქციელს და საქვე ამითი გამოსწორდება. რა საქორთა ამისთვის ტარტარო-ზის მანდ ჩამოსულა?!

სინდირვალას. გვეგზავნით ნახატს და გვთხოვ მოვათვასოთ ასეთი წარწერით:



კოლია: ვინ არის ის, მაგიდაზე რომ გაშხლართულა და სძინავს?

აქთანას: — ვინ არის და დაწინაურებული ვალიკო სისორდია, სარაიონო ფოსტის გამგეთაა გადმოიყვანილი და შინა არ მისცეს.

რატომ არ იწერებთ — სად ხდება ეს ამბავი? ყო-ველს შემთხვევაში თქვენ ვერ იცავთ დაწინაურებულის ინტერესებს, რადგან ამბობთ, რომ მას სძინავს ფოსტა-შიო... მუშაობის დროს. (აბა, რა უნდათ ამ დროს ფოსტა-ში კოლის და ათანასეს?).

ზმუქს (არა ლევარსის აეტორს, ბათიში). გვწერთ, რომ მუშკოიანის ფერმის გამგემ შემოსავალი იმდენად გააღიდა, რომ ნაწილი შემოსავლია მარცხენა ჯიბეში მიაქვს.

მარცხენა (და მარჯვენამაც)მარცხი იცის და ვაი თუ რიფმანს ვერ უშეულოს თავის სპეცობამ



CP 34  
193

„ბევრ ადგილას სოფლებში ადგილობრივი ხელის  
უფლება ყურადღებას არ აქცევს ხელის შენობის შე-  
კეთებას.“ (გეგითებიდან).



საკვირველია, ამ დანგრეულ შენობის მასალას რატომ არ იყენებთ აღმასკომი სკოლები-  
სა და სამკითხველოების ასაგებად?  
— უკვე გამოუყენებულია: ერთში — სკოლა; მეორეში კი — სამკითხველო.